ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 31

ქ. ხობი 13 მარტი 2023 წელი.

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი:244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი:GE24NB0330100200165022; საქართველოს ეროვნული ბანკი. ბანკის კოდი:BNLNGE22; შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მერის დავით ბუკიას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ,,მარინა როდონაია" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისამართი: ხობი. ცოტნე დადიანის N238; ტელეფონის ნომერი:597510080; საბანკო რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი:58001004206; ბანკი: სს,,საქართველოს ბანკი" ანგარიშის ნომერი:GE04BG0000000514599900; ბანკის კოდი:BAGAGE22; მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მარინა როდონაიას სახით,

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს კონდიციონერების მონტაჟის, დემონტაჟის და რემონტის მომსახურების შესყიდვა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი: 50711000; 50721000;

1.3 ხელშეკრულებას თან ერთვის გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი (ერთეულის ღირებულებები), რომლითაც განისაზღვრება მომსახურების ღირებულება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით(დღგ-ს გარეშე) შეადგენს **4850.00**(ოთხი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიწოდებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამებოდეს ამ სამუშაოსათვის დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს

4. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

5. საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი.

5.1 შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტებით.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს:

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.
2. საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი.

5.3 მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 5 (ხუთი) დღეში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი" განახორციელებს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, სასაქონლო ზედნადების (ელექტრონული ვერსია), ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის და გაწეული მომსახურების შესახებ მიღება- ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

პირველი მხარე ვალდებულია დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება, მეორე მხარე ვალდებულია დროულად და წესების დაცვით შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

8.4 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

10.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

10.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

10.8 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს)

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2024 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

11.2 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

13. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების კონტროლის პირობები

13.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია კონტროლი განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

13.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს:

1. შემსყიდველის მხრიდან - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.
2. საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი.

13.3 მიმწოდებლის მხრიდან - მარინა როდონაია

14 . სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ , რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ

მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

15. მხარეთა ხელმოწერები:

საფუძველი: 1.მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ზ. ბუკიას მოხსენებითი ბარათი(N03-50230419 10.02.2023წ.) 2.საკრებულოს თავმჯდომარის წერილი (N51-51230392 08.02.2023წ.)

ხელშეკრულება შეთანხმებულია:

1. მერის პირველი მოადგილე: რ. ზაქარაია
2. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ზ. ბუკია
2. მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა
3. მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების

   უფროსი: ბ. შონია
4. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის

   განყოფილების უფროსი: ჯ. ბერაია

ხელისმოწერა და ბეჭედი

Marina Rodonaia

Digitally signed by Marina Rodonaia
Date: 2023.03.13 16:24:49 +04'00'

„შემსყიდველი“

ხობის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ბუკია

„მიმწოდებელი“

ინდივიდუალური მეწარმე

მარინა როდონაია

ფასების ცხრილი

N	სამუშაოს დასახელება	მომსახურების ღირებულება
	კონდიციონერების მონტაჟის, დემონტაჟის, მოვლა-შენახვისა და რემონტისთვის აუცილებელი სამუშაოების ჩამონათვალი	
1	კონდიციონერის მონტაჟი	120
2	კონდიციონერის დემონტაჟი	65
3	კონდიციონერის მონტაჟი და დემონტაჟი	150
4	კონდიციონერის სადრენაჟე მილის გამოცვლა	55
5	კონდიციონერის შიდა კორპუსში რადიატორის გაწმენდა	75
6	დაზიანებული სადენის აღდგენა მოხსნა-დაყენება	130
7	გარე ბლოკის კონდესატორის გამოცვლა	60
8	შიდა ბლოკის კონდესატორის გამოცვლა	60
9	ფრეონით დამუხტვა 100/გრ	10
10	შიდა კორპუსის ფილტრის(ბადის) გაწმენდა	5
11	შიდა პატარა ვენტილატორის გამოცვლა-შეკეთება	40
12	კონდესატორის კომპრესორის გამოცვლა	60
13	უნივერსალური პულტი	40
14	მართვის პანელის შეცვლა	80
15	მართვის პანელის შეკეთება	45
16	კონდესატის პომპა	70
17	ზამთარ-ზაფხულის რეჟიმზე გადამრთველი კლაპანი	50
18	დენის სადენი (5-წვერიანი) მეტრი	6
19	გარე აგრეგატის ვენტილატორი შეცვლა ან შეკეთება	130
20	კონდესატის მილის (მეტრი) შეცვლა	4
21	შიდა აგრეგატის მოტორის შეცვლა	180
22	სპილენძის მილი (მეტრი)	22

„ შემსყიდველი“

ხობის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ბუკია

„მიმწოდებელი“

ინდივიდუალური მეწარმე

მარინა როდონაია

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ხობი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ კონდიციონერების მონტაჟის, დემონტაჟის და რემონტის მომსახურების შესყიდვაში მონაწილე მიმწოდებელთან ი.მ „მარინა როდონაია“-სთან არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერი: დ. ბუკია

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში: ლ. ბუკია

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი: დ. ჭანტურია